990

ISSN 0203—2023

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 10

1990

უზენაესი საბჭოს
უწყებები

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

1990
(42)

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
უზენაესი საბჭოს
უწყებები

№ 10 (603) ოქტომბერი 1990 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

260. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება „საქართველოს სსრ კონსტიტუციის 77-ე მუხლის საფუძველზე სსრ კავშირის რიგი კანონების შეფასების შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილების პირველი მუხლის განმარტების თაობაზე.
261. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სამინაო კოდექსში დამატებათა შეტანის შესახებ.
262. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ადიგენის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის მოვალეობისაგან ნ. ჯ. ჩაფიძის ვადამდე გათავისუფლების შესახებ.
263. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ საობობის სახელმწიფო კომიტეტის გაუქმების შესახებ.
264. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.
265. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ი. შ. ხურციძის თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრად არჩევის შესახებ.
266. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება „თბილისის საქალაქო სასამართლოსა და საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მოსამართლეებისთვის საკვალიფიკაციო კლასების მინიჭების შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 7 აგვისტოს დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

267. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თვითმმართველობის სტატუსის შესახებ.

268. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ბ. ე. სარალიძის საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

269. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროს გარდაქმნის შესახებ.

270. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

განკოფილება მეორე

271. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ნ. ს. ამაღლობელისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

272. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ტ. ი. დარჩიაშვილისათვის „საქართველოს სსრ მშენებლობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

273. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ნ. ვ. ჩხაიძისათვის „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

274. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ა. ნ. ვართანოვასათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

275. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ვ. ა. აჯიმამუდოვისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

276. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება იაპონიის საქართველოსთან მეგობრობის საზოგადოების საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

277. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება პროფესორ ოტანი ფუკასისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

278. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

279. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

260 „საქართველოს სსრ კონსტიტუციის 77-ე მუხლის საფუძველზე სსრ კავშირის რიგი კანონების შეფასების შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილების პირველი მუხლის განმარტების თაობაზე

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

განმარტებულ იქნეს, რომ „საქართველოს სსრ კონსტიტუციის 77-ე მუხლის საფუძველზე სსრ კავშირის რიგი კანონების შეფასების შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 20 ივნისის დადგენილების პირველ მუხლში ნახსენები საშემოსავლო გადასახადებთან დაკავშირებული კანონი გულისხმობს „სსრ კავშირის მოქალაქეთა, საზღვარგარეთის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ“ სსრ კავშირის 1990 წლის 23 აპრილის კანონის მეოთხე თავს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 4 ოქტომბერი.
№ 2826—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

261 საქართველოს სსრ საბინაო კოდექსში დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს **პრეზიდიუმი ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ 1983 წლის 4 ივნისის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ საბინაო კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1983 წ., № 6, მუხ. 199) შემდეგი დამატებანი:

1. 77-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვების „კოოპერატივის წევრს“ შემდეგ დამატოს სიტყვები „საკუთარი საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) მფლობელს“;

2. 149-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის პირველი ნაწილი:

„მესაკუთრეს უფლება აქვს თავისი კუთვნილი სახლი (სახლის ნაწილი) გაცვალოს სახელმწიფო, საზოგადოებრივი და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების საბინაო ფონდის საცხოვრებელ სახლზე ან ბინაზე, აგრეთვე სხვა მესაკუთრის კუთვნილ სახლზე (სახლის ნაწილზე)“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილები ჩაითვალოს შესაბამისად მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილებად.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 5 ოქტომბერი.
№ 2829—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

262 ადიგენის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის მოვალეობისაგან ნ. ჭ. ჩაფიძის ვადამდე გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის 73-ე მუხლის შესაბამისად გათავისუფლდეს ნელი ჭიჭიკოს ასული **ჩაფიძე** ადიგენის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 15 ოქტომბერი.
№ 2830—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

263 საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტის გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. გაუქმდეს საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტი.
2. „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ 1978 წლის 21 დეკემბრის კანონიდან (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1978 წ., № 12, მუხ. 253) ამოღებულ იქნეს 28-ე მუხლი.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 15 ოქტომბერი.
№ 2831—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

264 საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

ოჯახის შემდგომი განმტკიცების, ბავშვების აღზრდისათვის მშობელთა პასუხისმგებლობის გაზრდის, დედისა და ბავშვის დაცვის მიზნით საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები შემდეგ საკანონმდებლო აქტებში:

1. საქართველოს სსრ 1970 წლის 18 ივნისის კანონით დამტკიცებული საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1970 წ., № 6, მუხ. 96):

1) დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის 6^1 და 6^2 მუხლები:

„მუხლი 6^1. საქორწინო და საოჯახო ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლებების განხორციელება და მოვალეობათა შესრულება

საქორწინო და საოჯახო ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლებებს იცავს კანონი გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს უფლებები ხორციელდება ძალი დანიშნულების საწინააღმდეგოდ.

ოჯახის წევრთა მიერ მათი უფლებების გამოყენებამ ზიანი არ უნდა მიაყენოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებს, სხვა მოქალაქეთა უფლებებს.

უფლებების განხორციელებისა და მოვალეობების შესრულებისას მოქალაქეებმა უნდა დაიცვან კანონები, პატივი სცენ სოციალისტური საზოგადოების მორალურ პრინციპებს, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ოჯახის განმტკიცებას.

მუხლი 6^2. საქორწინო და საოჯახო ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლებების დაცვა

საქორწინო და საოჯახო ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლებების დაცვას ახორციელებენ სასამართლო, მზრუნველობისა და მეურვეობის ორგანოები და მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოები.

საქორწინო და საოჯახო ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლებების დაცვას ახორციელებენ აგრეთვე ამხანაგური სასამართლოები, შრომითი კოლექტივები, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით“;

2) 22-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს სიტყვები:

„ამავე მიზნით სასამართლოს შეუძლია თითოეული მეუღლის საკუთრებად ცნოს ის ქონება, რომელიც შეძენილია თითოეული მათგანის მიერ ქორწინების ფაქტობრივად შეწყვეტისას მათი ცალ-ცალკე ცხოვრების დროს“;

3) 26-ე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები „წლინახევრის განმავლობაში“ შეიცვალოს სიტყვებით: „სამი წლის განმავლობაში“;

4) 33-ე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები „სასამართლო იღებს ზომებს მეუღლეთა შესარიგებლად“ შეიცვალოს სიტყვებით: „განქორწინების შესახებ საქმის განხილვისას სასამართლო მოვალეა მიიღოს ზომები მეუღლეთა შესარიგებლად და ოჯახური ვითარების გასაჯანსაღებლად“;

5) 52-ე მუხლში:

მეორე ნაწილს სიტყვების „მამად ჩაწერილ პირს“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ან პირს, რომელიც ფაქტობრივად ბავშვის მამაა, დედის გარდაცვალების ან მისთვის მშობლის უფლების ჩამორთმევის შემთხვევაში“;

მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მესამე და მეოთხე ნაწილები:

„პირს, რომელიც მისი განცხადებით ან ბავშვის დედასთან ერთობლივი განცხადებით ჩაწერილი არის ბავშვის მამად, უფლება არა აქვს სადავოდ გახადოს მამობა, თუ განცხადების შეტანის მომენტში მისთვის ცნობილი იყო, რომ ფაქტობრივად იგი არ არის ამ ბავშვის მამა.

ქმარი, რომელიც თანახმაა დონორის მეშვეობით თავისი ცოლის ხელოვნურ განაყოფიერებაზე, იწერება ამ ქალის მიერ დაბადებული ბავშვის მამად და უფლება არა აქვს სადავოდ გახადოს ჩანაწერი“;

6) 58-ე მუხლში:

მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მშობლებს უფლება აქვთ და ვალდებული არიან აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათ ჯანმრთელობაზე, ფიზიკურ, სულიერ და ზნეობრივ განვითარებაზე, სწავლებაზე, მოამზადონ ისინი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის, აღზარდონ სოციალისტური საზოგადოების ღირსეულ წევრებად“;

მუხლს მეხუთე ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ახალი ნაწილი:

„მშობლების (ერთ-ერთი მათგანის) მიერ აღზრდის მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულებისას ან მშობლის უფლებების ბოროტად გამოყენებისას შვილებს უფლება აქვთ თავიანთი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მიმართონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს“;

მეექვსე ნაწილი ჩაითვალოს მეშვიდე ნაწილად;

7) მე-60 მუხლის მეორე ნაწილს სიტყვის „ინტერესების“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „და მათი სურვილის“;

8) 61-ე მუხლში:

მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თუ ცალ-ცალკე მცხოვრები მშობლები ვერ შეთანხმდებიან შვილების აღზრდაში ცალკე მცხოვრები მშობლის მონაწილეობის თაობაზე, ასეთ წესს, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, განსაზღვრავს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო. თუ მშობლები არ ემორჩილებიან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადაწყვეტილებას, ამ უკანასკნელს, აგრეთვე თითოეულ მშობელს უფლება აქვს დავის გადასაწყვეტად მიმართოს სასამართლოს“;

დაემატოს მუხლს შემდეგი შინაარსის მეოთხე და მეხუთე ნაწილები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობისას დამნაშავე მშობლის მიმართ გამოიყენება საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებანი.

სასამართლოს გადაწყვეტილების ბოროტად შეუსრულებლობის შემთხვევაში ცალკე მცხოვრებ მშობელს, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, უფლება აქვს სარჩელით მიმართოს სასამართლოს ბავშვის მისთვის გადაცემის თაობაზე“;

9) 64-ე მუხლის მეორე ნაწილს სიტყვების: „შვილების აღზრდის მოვალეობის შესრულებას“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „მათ შორის არასაპატიო მიზეზით სამშობიაროო სახლიდან (განყოფილებიდან) და სხვა საბავშვო სამკურნალო-პროფილაქტიკური და სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებებიდან ბავშვის წაყვანას“;

10) 65-ე მუხლს პირველი ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილი:

„თუ სასამართლო მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ საქმის განხილვისას მშობლების ან ერთ-ერთი მათგანის მოქმედებაში აღმოაჩენს დანაშაულის ნიშნებს, იგი ამის შესახებ აცნობებს პროკურორს ან აღძრავს სისხლის სამართლის საქმეს“;

მეორე ნაწილი შესაბამისად ჩაითვალოს მესამე ნაწილად.

11) 69-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილი:

„განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა ბავშვის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას უშუალო საფრთხე ემუქრება, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება მშობლებისათვის ან სხვა პირთათვის, რომლებიც ფაქტობრივად ზრდიან მას, ბავშვის დაუყოვნებლივ ჩამორთმევის შესახებ. ამ შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო მოვალეა დაუყოვნებლივ აცნობოს პროკურორს და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ შვიდი დღის ვადაში მიმართოს სასამართლოს სარჩელით მშობლებისათვის ან ერთ-ერთი მათგანისათვის მშობლის უფლების ან ბავშვის ჩამორთმევის შესახებ“;

მეორე ნაწილი ჩაითვალოს მესამე ნაწილად;

12) მე-80 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 80. შვილების მოვალეობა მშობლების მიმართ

შვილები მოვალენი არიან იზრუნონ მშობლებისათვის და დაეხმარონ მათ.

სრულწლოვანი შვილები მოვალენი არიან არჩინონ შრომისუუნარო მშობლები, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ.

სრულწლოვან შვილებს, რომლებიც მშობლებს ალიმენტს უხდიან, შეიძლება დაეკისროთ განსაკუთრებული გარემოებებით (მძიმე ავადმყოფობა, დასახიჩრება, მშობლების მომვლელი პირის შრომის ანაზღაურება და ა. შ.) გაწეული დამატებითი ხარჯები.

შვილები შეიძლება გათავისუფლდნენ თავიანთი მშობლების რჩენის მოვალეობისაგან და მათ მოვლაზე გაწეული დანახარჯის გადახდისაგან, თუ სა-

სამართლო დაადგენს, რომ მშობლები თავს არიდებდნენ მშობლის მოვალეობის შესრულებას";

13) 105-ე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გაშვილება მშობლების თანხმობის მიუღებლად შეიძლება, თუ ისინი ექვს თვეზე მეტხანს არ ცხოვრობენ ბავშვთან ერთად და არასაპატიო მიზეზით მონაწილეობას არ იღებენ მის აღზრდასა და რჩენაში, არ იჩენენ შვილის მიმართ მშობლიურ ყურადღებასა და მზრუნველობას".

II. საქართველოს სსრ 1983 წლის 4 ივნისის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ საბინაო კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1983 წ., № 6, მუხ. 199):

1) 46-ე მუხლის პირველი ნაწილის მერვე პუნქტში სიტყვები: „მრავალშვილიან ოჯახებსა" შეიცვალოს სიტყვებით: „მრავალშვილიან ოჯახებს, ინვალიდი ბავშვების აღმზრდელ ოჯახებსა";

2) კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 47[1] მუხლი:

„მუხლი 47[1]. საოჯახო ბავშვთა სახლების საცხოვრებელი სადგომით უზრუნველყოფა

დადგენილი წესით საოჯახო ბავშვთა სახლის ორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას მშობელ-აღმზრდელად დანიშნულ პირებს მათთვის აღსაზრდელად გადაცემულ ბავშვებთან ერთად ცხოვრებისათვის რიგგარეშე ეძლევათ ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი ან მრავალოთახიანი ბინა. საცხოვრებელი ფართობის ოდენობას ადგენს საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

მიცემული საცხოვრებელი სადგომით სარგებლობა ხორციელდება სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომებით სარგებლობისათვის საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით";

3) 107-ე მუხლში:

მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის მესამე პუნქტი:

„3) მშობლის უფლებაჩამორთმეული მოქალაქეები, თუ ისინი ცხოვრობენ იმ ბავშვებთან ერთად, რომელთა მიმართაც ჩამოერთვათ მშობლის უფლებები";

მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მესამე ნაწილი:

„საოჯახო საბავშვო სახლის ლიკვიდაციის შემთხვევაში მშობელ-აღმზრდელებმა უნდა გაათავისუფლონ მათთვის მიცემული საცხოვრებელი სადგომი (მუხ. 47[1]), ხოლო ყარის დროს — გამოსახლებულ უნდა იქნენ სხვა კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სადგომის მიცემით. ბავშვის შემდგომი აღზრდისაგან მშობელ-აღმზრდელთა ჩამოშორებისას ისინი შეიძლება გამოსახლებულ იქნენ მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომიდან სხვა საცხოვრებელი სადგომის მიცემით";

4) 109-ე მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად შეიძლება გამოსახლებულ იქნენ აგრეთვე მშობლის უფლებაჩამორთმეული პირნი, თუ მათი ცხოვრება ამ შვილებთან ერთად შეუძლებლადაა ცნობილი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. საქართველოს სსრ 1964 წლის 26 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1964 წ., № 36, მუხ. 662) 48-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბათილია გარიგება, რომელიც არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, მათ შორის არასრულწლოვანი ბავშვების პირადი ან ქონებრივი უფლებების შემბღალავი გარიგებაც“.

IV. საქართველოს სსრ 1973 წლის 28 ივნისის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1973 წ., № 6, მუხ. 118):

1) 44-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1) 16-დან 18 წლამდე ასაკის მუშებისა და მოსამსახურეებისათვის 36 საათი კვირაში, ხოლო 15-დან 16 წლამდე ასაკის პირებისათვის (14-დან 15 წლამდე ასაკის მოსწავლეებისათვის, რომლებიც არდადეგების დროს მუშაობენ) (167-ე მუხლი) — 24 საათი კვირაში.

სასწავლო წლის განმავლობაში სწავლისაგან თავისუფალ დროს მომუშავე მოსწავლეთა სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს ამ პუნქტის პირველ აბზაცში შესაბამისი ასაკის პირთათვის გათვალისწინებული სამუშაო დროის მაქსიმალური ხანგრძლივობის ნახევარს“;

2) 49-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები: „რვა წლამდე ასაკის“ შეიცვალოს სიტყვებით: „თორმეტ წლამდე ასაკის (მათ შორის მის მეურვეობაში ყოფი)“;

3) 157-ე მუხლში:

მეორე ნაწილში სიტყვები: „ორ წლამდე ასაკის“ შეიცვალოს სიტყვებით „სამ წლამდე ასაკის“;

მესამე ნაწილში სიტყვები: „ორი წლიდან რვა წლის ასაკამდე“ შეიცვალოს სიტყვებით: „სამიდან თორმეტი წლის ასაკამდე (ინვალიდი ბავშვები — თექვსმეტი წლის ასაკამდე)“;

4) 158-ე მუხლს პირველი ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ახალი ნაწილი:

„ორსული ქალისათვის სამედიცინო დასკვნის შესაბამისად სხვა უფრო მსუბუქი და არაკეთილსასურველი საწარმოო ფაქტორების ზემოქმედების გამომრიცხველი სამუშაოს მიცემის საკითხის გადაწყვეტამდე იგი უნდა გათავისუფლდეს სამუშაოდან და საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხარჯზე შეუნარჩუნდეს ამის შედეგად გაცდენილი ყველა სამუშაო დღის საშუალო ხელფასი“.

ამ მუხლის მეორე ნაწილი ჩაითვალოს მესამე ნაწილად.

5) 159-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალებს ორსულობისა და მშობიარობის გამო ეძლევათ შვებულება მშობიარობამდე ორმოცდათექვსმეტი კალენდარული დღის ხანგრძლივობით და მშობიარობის შემდეგ ორმოცდათექვსმეტი (გართულებული მშობიარობის

ან ორი ან მეტი ბავშვის შობის შემთხვევაში — სამოცდაათი) ქალებისათვის დღის ხანგრძლივობის და მათი სურვილისამებრ, თუ აქვთ არანაკლებ ერთი წლის მუშაობის საერთო სტაჟი (ქალებს, რომლებსაც არ მიუღწევიათ თვრამეტი წლის ასაკამდე — მუშაობის სტაჟის ხანგრძლივობის მიუხედავად). ნაწილობრივ ანაზღაურებული შვებულება ბავშვის მოვლის გამო, სანამ იგი წლინახევრისა გახდებოდეს; ამ ხნის განმავლობაში მათ ეძლევათ დახმარება სახელმწიფო სოციალური დაზღვევის წესით. მომუშავე ქალებს, რომლებსაც არ გააჩნიათ მუშაობის ერთი წლის სტაჟი, დახმარება ბავშვის მოვლის გამო ეძლევათ ნახევარი ოდენობით.

გარდა აღნიშნული შვებულებებისა, ქალს, მისი განცხადებით, ეძლევა დამატებითი უხელფასო შვებულება ბავშვის მოსავლელად ბავშვის სამი წლის ასაკის მიღწევამდე.

ნაწილობრივ ანაზღაურებული შვებულება და დამატებითი უხელფასო შვებულება ბავშვის მოსავლელად შეიძლება მთლიანად ან ნაწილ-ნაწილ გამოიყენოს აგრეთვე ბავშვის მამამ, ბებიამ, პაპამ ან სხვა ნათესავმა, რომლებიც ფაქტობრივად უვლიან ბავშვს.

ქალის ან ამ მუხლის მესამე ნაწილში ჩამოთვლილ პირთა სურვილით ბავშვის მოვლის გამო შვებულებაში ყოფნის პერიოდში მათ შეუძლიათ იმუშაონ არასრული სამუშაო დროის პირობებში ან სახლში, ამასთან მათ შეუნარჩუნდებათ დახმარების მიღების უფლება ბავშვის მოვლისათვის ნაწილობრივ ანაზღაურებული შვებულების პერიოდში";

6) 164-ე მუხლში:

მუხლის სათაურში ამოღებულ იქნეს სიტყვები „წლინახევრის ასაკამდე";

პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„აკრძალულია სამუშაოზე მიღებისას ქალებისათვის უარის თქმა და მათთვის ხელფასის შემცირება ორსულობის ან სამ წლამდე ასაკის ბავშვების ყოლის მოტივებით, ხოლო მარტოხელა დედებისათვის — 14 წლამდე ასაკის ბავშვის ყოლის (16 წლამდე ინვალიდი ბავშვის ყოლის) გამო";

მუხლს პირველი ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ახალი ნაწილი:

„აღნიშნული კატეგორიის ქალებისათვის სამუშაოდ მიღებაზე უარის თქმისას ადმინისტრაცია ვალდებულია წერილობითი ფორმით აცნობოს მათ უარის მიზეზები. სამუშაოზე მიღების უარი შეიძლება გასაჩივრდეს სახალხო სასამართლოში";

მუხლის მეორე ნაწილი ჩაითვალოს მესამე ნაწილად და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დაუშვებელია ორსული ქალებისა და იმ ქალების, რომლებსაც სამ წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ (მარტოხელა დედებისა — 14 წლამდე ასაკის ბავშვის ან 16 წლამდე ინვალიდი ბავშვის ყოლისას) დათხოვნა ადმინისტრაციის ინიციატივით, გარდა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის სრულ ლიკვიდაციის შემთხვევებისა, როდესაც დათხოვნა დაშვებულია სავალდებულო შრომითი მოწყობით. აღნიშნული ქალების სავალდებულო შრომითის მოწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყობას ადმინისტრაცია ახორციელებს აგრეთვე ვადიანი შრომის ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო მათი დათხოვნის შემთხვევებშიც. შრომითი მოწყობის პერიოდში მათ უნარჩუნდებათ საშუალო ხელფასი, მაგრამ არა უმეტეს სამი თვისა ვადიანი შრომის ხელშეკრულების ვადის გასვლის დღიდან";

7) 167-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მესამე ნაწილი:

„ახალგაზრდობის საწარმოო შრომისათვის მოსამზადებლად დასაშვებია სწავლისაგან თავისუფალ დროს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური და საშუალო სპეციალური სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეთა სამუშაოზე მიღება მათ მიერ თოთხმეტი წლის ასაკის მიღწევისას ერთ-ერთი მშობლის ან მისი შემცვლელი პირის თანხმობით მსუბუქი სამუშაოს შესასრულებლად, რომელიც ზიანს არ მიაყენებს მათ ჯანმრთელობას და არ დაარღვევს სწავლების პროცესს";

8) 174-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მესამე ნაწილი:

„ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური და საშუალო სპეციალური სასწავლო დაწესებულებების სწავლისაგან თავისუფალ დროს მომუშავე მოსწავლეთა შრომა ანაზღაურდება ნამუშევარი დროის პროპორციულად ან გამომუშავების მიხედვით. საწარმოებს შეუძლიათ მოსწავლეებს დაუდგინონ ხელფასის დანამატები";

9) 175-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილი:

„აკრძალულია სამუშაოზე და პროფესიული სწავლებისათვის ჯავშნის ანგარიშზე გაგზავნილ პირთა მიღებაზე უარის თქმა. ასეთი უარი შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს სახალხო სასამართლოში";

მეორე ნაწილი ჩაითვალოს მესამე ნაწილად.

V. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს სსრ 1972 წლის 15 ივნისის კანონში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1972 წ., № 6, მუხ. 101):

1) 43-ე მუხლს სიტყვების „ჰიგიენური ცოდნის პროპაგანდა" შემდეგ დაემატოს სიტყვები: „მოსახლეობის სანიტარიულ-ჰიგიენური სწავლება და აღზრდა ცხოვრების ჯანსაღი წესის ფორმირების, ჯანმრთელობის, განსაკუთრებით ბავშვებისა და მოზარდების ჯანმრთელობის გაკაჟების საკითხებზე";

2) 44-ე მუხლის მეხუთე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები ვალდებულნი არიან მიიღონ აუცილებელი ზომები დედათა, ჩვილთა პერინატალურ დაავადებათა და სიკვდილიანობის შესამცირებლად, საწარმოო ტრავმატიზმის, პროფესიულ დაავადებათა პროფილაქტიკისა და შრომის უნარის აღდგენისათვის";

3) 63-ე მუხლში:

პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს სსრ რესპუბლიკაში დედებსა და ბავშვებს სახელმწიფო იცავს და წაახალისებს; ქალებს შექმნილი აქვთ დედობის შრომასთან შეხამების პირობები; უზრუნველყოფილია დედათა და ბავშვთა სამართლებრივი დაცვა, მატერიალური და მორალური მხარდაჭერა; სახელმწიფო ახორციელებს ბავშვის უფლებებისა და ინტერესების დაცვას, უზრუნველყოფს ბავშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის უფლებებს მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და ნაცხოვრ-ლური განვითარებისათვის ცხოვრების აუცილებელ პირობებზე";

მეორე ნაწილს სიტყვების „შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებითა და გაჯანსაღებით" შემდეგ დაემატოს სიტყვები „გარემოს გაჯანსაღების ღონისძიებათა განხორციელებით, ნეგატიური ეკოლოგიური ფაქტორების თავიდან აცილებით, რომლებიც გავლენას ახდენენ მოსახლეობის გენერაციულ ფუნქციაზე და იწვევენ ავადმყოფი და დასუსტებული ბავშვების დაბადებას, ქალებისა და ბავშვების დაავადებათა ზრდას";

მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალს უფლება აქვს ეა თვითონ გადაწყვეტოს დედობის საკითხი. ქალს ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, მისივე თანხმობით, ორსულობის თავიდან ასაცილებლად შეიძლება ჩაუტარდეს ქირურგიული სტერილიზაცია სამედიცინო ჩვენებათა შესაბამისად. სამედიცინო ჩვენებათა ნუსხას განსაზღვრავს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო";

მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეოთხე ნაწილი:

„ქორწინებაში შემსვლელთა და მათი შთამომავლობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებები ქორწინების შესახებ განცხადების შემტანი მოქალაქეებისათვის, მათი სურვილის მიხედვით, უზრუნველყოფენ სამედიცინო შემოწმებას. შემოწმების ჩატარების წესს აგენს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო";

4) 64-ე მუხლს სიტყვების „მეთვალყურეობას ორსულობისას" შემდეგ დაემატოს სიტყვები „სამედიცინო-გენეტიკური კონსულტაციის ჩათვლით";

5) 65-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მესამე ნაწილი:

„სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების სამედიცინო მუშაკები ვალდებული არიან მშობლებს (მათ შემცვლელ პირებს) მიაწოდონ ინფორმაცია იმ საკითხებზე, რომლებიც შეეხება ბავშვის დაავადებას, მისი მკურნალობის ტაქტიკასა და მეთოდებს";

6) 67-ე მუხლში:

მეორე ნაწილს დაემატოს სიტყვები „იმ სამედიცინო უკუჩვენებათა ნუსხას, რომლებიც აბრკოლებენ აღნიშნული ბავშვებისა და მოზარდების ბავშვთა სახლებსა და საერთო დანიშნულების სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში მოთავსებას, ამტკიცებს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო";

მეოთხე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სამ წლამდე ასაკის ბავშვების, აგრეთვე უფროსი ასაკის მძიმე ავადმყოფი ბავშვების სტაციონარული მკურნალობის დროს, რომლებსაც ექიმების დასკვნით დამატებითი მოვლა სჭირდებათ, ბავშვის დედას (მამას) ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა ნათესავს შეუძლია ბავშვთან იყოს სამკურნალო დაწესებულებაში და დადგენილი წესით მიიღოს დახმარება სოციალური დაზღვევის სახსრებიდან".

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუშგარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 15 ოქტომბერი.
№ 2832—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

265 ი. შ. ხურციძის თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრად არჩევის შესახებ

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 164-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

არჩეულ იქნეს იოსებ შოთას ძე **ხურციძე** თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრად.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუშგარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 17 ოქტომბერი.
№ 2834—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

266 „თბილისის საქალაქო სასამართლოსა და საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მოსამართლეებისათვის საკვალიფიკაციო კლასების მინიჭების შესახებ" საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 7 აგვისტოს დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ნაწილობრივ შეიცვალოს „თბილისის საქალაქო სასამართლოსა და საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მოსამართლეებისათვის საკვალიფიკაციო კლასების მინიჭების შესახებ" საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 7 აგვისტოს დადგენილება —

ხონის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს ომარ გიორგაძეს გაბეჩავას მეოთხის ნაცვლად მიენიჭოს მეორე საკვალიფიკაციო კლასი.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 17 ოქტომბერი.
№ 2835—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

267 საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თვითმმართველობის სტატუსის შესახებ

თავისუფალი მეცნიერული შემოქმედების, აკადემიური მეცნიერების მართვის თანამიმდევრული დემოკრატიზაციისა და დეცენტრალიზაციის, აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებისათვის ფართო უფლებათა მინიჭების მიზნით და ფუნდამენტურ მეცნიერებათა შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია არის თვითმართვადი ორგანიზაცია, რომელიც მოქმედებს მხოლოდ საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წესდების საფუძველზე და დამოუკიდებლად უზრუნველყოფს აკადემიის სისტემის ფუნქციონირებას.

2. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს საკუთრებაში გადაეცეთ ძირითადი ფონდები და სხვა სახელმწიფო ქონება, რომლებიც დღეისათვის მათ განკარგულებაშია გასხვისების უფლების გარეშე, და განსაზღვროს მათი სტატუსი საკუთრების სათანადო კანონმდებლობის შესაბამისად.

3. შენარჩუნებულ იქნეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფუნდამენტური მეცნიერული კვლევის მიზნობრივი დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებიდან, რაზეც საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ანგარიშს უდგენს საქართველოს მთავრობას.

4. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ხელს უწყობს მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარებას რესპუბლიკაში; ამყარებს უშუალო სამეცნიერო კავშირებს, ქმნის სხვადასხვა ქვეყნებთან ერთობლივ სამეცნიერო ორგანიზაციებსა და ცენტრებს, ახორციელებს მეცნიერთა გაცვლას და იყენებს თანამედროვე საერთაშორისო მეცნიერული თანამშრომლობის სხვა ფორმებს.

5. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა დაადგინოს აკადემიის დაწესებულებების მეცნიერ მუშაკთა ახალი სარგოებისა და განაკვეთების განსაზღვრის წესი მიზნობრივად გამოყოფილი ბიუჯეტის ასიგნებათა ფარგლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ზემოთ აღნიშნული საკითხების გადასაწყვეტად მიიღოს სათანადო დადგენილება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება:

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერ მუშაკთა და თანამშრომელთა მატერიალური უზრუნველყოფისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებანი;

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და მისი დაწესებულებებისათვის საკუთარი სახსრებიდან სოციალურ საკითხთა გადასაწყვეტად სპეციალური ფონდების შექმნის წესი სახელმწიფო სოციალური დაზღვევის კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებათა გარდა;

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში სამუშაოდ მეცნიერთა მოწვევის საკონტრაქტო სისტემის შემოღება (საზღვარგარეთიდან მეცნიერთა მოწვევის ჩათვლით) და კონტრაქტებით მომუშავეთათვის შრომის ანაზღაურების განაკვეთის დამოუკიდებლად დადგენა.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 24 ოქტომბერი.
№ 2847—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

268 ბ. ე. სარალიძის საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

განთავისუფლდეს ბორის ერასტეს ძე **სარალიძე** საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების მინისტრის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 25 ოქტომბერი.
№ 2848—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

269 საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროს გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გარდაიქმნას საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტრო საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროდ.

ამასთან დაკავშირებით „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ 1978 წლის 21 დეკემბრის კანონის (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1978 წ., № 12, მუხ. 253) 26-ე მუხლში სიტყვები „საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტრო“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო“.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 30 ოქტომბერი.
№ 2852—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

270 საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში ცვლილებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 10; 1982 წ., № 12, მუხ. 371) 217-ე მუხლში სიტყვები „ას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ხუთას მანეთამდე“.

2. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ 1984 წლის 15 დეკემბერს მიღებულ საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1984 წ., № 12, მუხ. 420) 185-ე მუხლში სიტყვები „ათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოცდაათ მანეთამდე“ და 187-ე მუხლში სიტყვები „ათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ას მანეთამდე“.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 30 ოქტომბერი.
№ 2855—XI

განკოფილება მეორე

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

271 **ნ. ს. ამაღლოგელისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისა და მეცნიერთა კადრების აღზრდისათვის თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს პროფესორ ნოდარ სარდიონის ძე **ამაღლობელს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 18 ოქტომბერი.
№ 2836—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

272 **ტ. ი. დარჩიაშვილისათვის „საქართველოს სსრ მშენებლობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

რესპუბლიკის საკურორტო მშენებლობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭოს კაპიტალური **მშენებლობის** მთავარ ინჟინერს ტატიანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანეს ასულ **დარჩიაშვილს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ მშენებლობის დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 18 ოქტომბერი.
№ 2837—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

273 ნ. ვ. ჩხაიძისათვის „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

დეკორატიული მებაღეობის განვითარებაში წვლილისათვის ბათუმის კულტურისა და დასვენების ზღვისპირა პარკის აგრონომს ნადეჟდა ვიქტორის ასულ **ჩხაიძეს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 18 ოქტომბერი.
№ 2838—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

274 ა. ნ. ვართანოვასათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს რესპუბლიკური საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრის დირექტორის მოადგილეს არუსიაკ ნაზარის ასულ **ვართანოვას** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 18 ოქტომბერი.
№ 2839—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

275 **ვ. ა. აჯიმამუდოვისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში წვლილისათვის თბილისის გარნიზონის სამხედრო პროკურორს ვიქტორ არტემის ძე **აჯიმამუდოვს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 18 ოქტომბერი.
№ 2840—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

276 **იაპონიის საქართველოსთან მეგობრობის საზოგადოების საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

იაპონელ და ქართველ ხალხებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებისათვის, ქართული კულტურის იაპონიაში პროპაგანდისათვის **იაპონიის საქართველოსთან მეგობრობის საზოგადოება** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 19 ოქტომბერი.
№ 2841—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

277 **პროფესორ ოტანი ფუკასისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

ქართული მეცნიერებისა და კულტურის იაპონიაში აქტიური პროპაგანდისა და შოთა რუსთაველის პოემის „ვეფხისტყაოსნის“ მაღალმხატვრულად

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგმნისათვის ქ. ტენრის უნივერსიტეტის პროფესორს ოტანი **ფუკასს** მიენიჭოს „**საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის**“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 19 ოქტომბერი.
№ 2842—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

278 საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ქართული თეატრის განვითარებასა და პოპულარიზაციაში თვალსაჩინო წვლილისათვის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის კოლექტივის წევრებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ სახალხო არტისტი“

მალხაზ ალექსანდრეს ძე **ბებურიშვილს** — მსახიობს.
გურანდა გიორგის ასულ **გაბუნიას** — მსახიობს.
თამარ ერმილეს ასულ **სხირტლაძეს** — მსახიობს.
ნინო ვიქტორის ასულ **ჩხეიძეს** — მსახიობს.

„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე“

გივი გიორგის ძე **გაჩეჩილაძეს** — სამუსიკო ნაწილის გამგეს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი“

ამირან ალექსანდრეს ძე **ბუაძეს** — მსახიობს.
გიორგი თენგიზის ძე **ბურჯანაძეს** — მსახიობს.
ვაჟა დავითის ძე **გელაშვილს** — მსახიობს.
ვახტანგ ზაალის ძე **თანდილაშვილს** — მსახიობს.
შოთა იაკობის ძე **მშვენიერაძეს** — მსახიობს.
ლამარა ვლადიმერის ასულ **ყარასაშვილს** — მსახიობს.
რევაზ მირიანის ძე **ჩხიკვიშვილს** — მსახიობს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 22 ოქტომბერი.
№ 2844—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

279 კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ქართული კულტურის განვითარების საქმეში თვალსაჩინო წვლილისათვის კინოსტუდია „ქართული ფილმის“ შემოქმედებითი კოლექტივის წევრებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ სახალხო არტისტი“

ქეთევან გაბრიელის ასულ **კიკნაძეს** — მსახიობს.
ლევან ნაფტალის ძე **ნამგალაშვილს** — დამდგმელ-ოპერატორს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული მოღვაწე“

მიხეილ გერმანეს ძე **კობახიძეს** — დამდგმელ-რეჟისორს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვპარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 22 ოქტომბერი.
№ 2845—XI